სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

15 იანვარი, 2026 წელი

ბრძანება №01-02/07

„პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ბსუ-ს მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 25 დეკემბრის №01-02/236 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის №17/ნ ბრძანების, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პერსონალის ფუნქციათა (სამუშაო) აღწერილობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 16 აპრილის №01-10/40 ბრძანების (ცვლილება №01-10/01, 15.01.2026 წ. ბრძანებით) და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2026 წლის 15 იანვრის №28364 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ბსუ-ს მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 25 დეკემბრის №01-02/236 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების **№1 დანართში შეიცვალოს მე-3 პუნქტის შინაარსი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
   ,,3. მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მუშაობისათვის ბსუ-ს მხრიდან განსაზღვრული უფლებამოსილი პირია პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. სისტემაში ინფორმაციის ასახვის პროცესს მონიტორინგს უწევს ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი.“.
2. <u>წინამდებარე ბრძანება</u> და ასევე ამ ბრძანებით დამტკიცებული ცვლილების გათვალისწინებით <u>კოდიფიცირებული</u> ,,პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ბსუ-ს მუშაობის წესი“ განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ბსუ-ს იურიდიული ცნობარის ველში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“, ველში ,,რექტორის აქტები“, ასევე პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ველში ,,მარეგულირებელი დოკუმენტები“).
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით (მ. ხალვაში), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ

დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**